საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 02 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №219/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 22 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის №219/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე -- -- მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 27 ივნისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხე შსს ძველი -- -- განყოფილების მიმართ, შსს -- -- განყოფილების გამომძიებელ -- -- მიერ 2018 წლის 25 ივნისს შედგენილი შემაკავებელი ორდერის №-- გაუქმების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 28 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი, მოპასუხე - შსს -- -- განყოფილების მიმართ, შსს -- -- განყოფილების გამომძიებელ -- -- მიერ 2018 წლის 25 ივნისს შედგენილი შემაკავებელი ორდერის №-- გაუქმების თაობაზე მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში; საქმეში დაინტერესებულ პირად ჩაბმულ იქნა -- --.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის -- -- -- -- განყოფილების მიერ 2018 წლის 25 ივნისს შედგენილი №-- შემაკავებელი ორდერი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2018 წლის 04 ივლისს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის განკარგულების გაუქმების ნაწილში ცალკე წარმოებად გამოეყო საქმეს №--; -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის განკარგულების გაუქმების თაობაზე განსახილველად გადაეცა -- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 22 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია), ვინაიდან, საჩივარში მითითებულ საქმეს მოსამართლე -- -- არ განიხილავდა.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული. იმისთვის, რომ მოსამართლის მიმართ განხორციელდეს დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმება აუცილებელია, რომ მოსამართლე განიხილავდეს კონკრეტულ საქმეს და ადგილი ჰქონდეს მოსამართლის მიერ„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ რომელი დისციპლინურ გადაცდომას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლე -- -- ადმინისტრაციული სამართლის საქმე №--, რომელზეც საჩივრის ავტორი მიუთითებდა, არ განუხილავს. შესაბამისად, არ არსებობს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი. იმ შემთხვევაშიც კი თუ მოსამართლე განიხილავდა ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებაზე.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრთაგან 11 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №219/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი